ხელშეკრულება №202
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 15 ივლისი 2019 წ.

ერთის მხრივ შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/კ 404945164) (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლაშა კილაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ავერსი-ფარმა“ (ს/კ 211386695) (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი 181571202 ინდივიდუალური ნომერი 21179902508918) სახით, **SMP190002850** „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის განკარგულების 2019 წლის 11 ივლისის №2987 თანხმობის საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ შემოსავლების ფარგლებში ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა.

1.2. მოწოდებული ფარმაცევტული პროდუქტი უნდა იყოს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვების უფლების მქონე;

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2802.58 (ორი ათას რვაას ორი ლარი და 58 თეთრი).**

2.2 ერთეულის ღირებულებები განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული „მიმწოდებლის“ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

3. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

3.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: ფარმაცევტული პროდუქტები **CPV33600000;** (შემდგომში საქონელი) დანართი №1-ის შესაბამისად.

3.2. დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, სადაც მოცემულია შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა, ზომის ერთეული, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1. შემოთავაზებული პროდუქტი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, ქარხნული წარმოების, არ უნდა იყოს დაზიანებული და მოწოდების მომენტისთვის ვარგისიანობის ვადა შენარჩუნებული უნდა ქონდეს არანაკლებ 40%-60% მდე.

4.2. შესყიდვის ობიექტის ნაკლოვანობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით ან სატელეფონო შეტყობინების სახით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

4.3. მიწოდებული საქონელის ხარისხი უნდა შესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით მოთხოვნილს. ნაკლიანი (დაზიანებული) საქონლის მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანებულის შეცვლა ახლით. ამასთან, მიწოდებულ/შეცვლილ საქონელში წუნის რამოდენიმეჯერ დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი ხელშკრულების ღირებულების 10%-ით და/ან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4.4. შემოთავაზებულ საქონელს უნდა ქონდეს ხარისხის სერთიფიკატი. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვოს მიმწოდებლისგან ზემოაღნიშნული სერთიფიკატის წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები.

5.1. „საქონლის“ მიწოდება განხორციელდება ერთიანად ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

5.2. საქონლის მიწოდების ადგილი – ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2, შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, სადაც სასაქონლო ზედნადებისა გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების და კონტროლის წესი

6.1. შემსყიდველის მიერ საქონლის მიღება წარმოებს ერთიანად.

6.2. საქონლის მიწოდებისას განხორციელდება მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რაზედაც დგება შესაბამისი ინსპექტირების აქტი.

6.3. შესყიდვის ობიექტის მოწოდებისას ,,მიმწოდებელმა,, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი საქონლის კოდის, დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 6.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა „საქონლის“ დანიშნულ ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.5. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირები, ცენტრის ავტორიზებული აფთიაქის მენეჯერები თამარ გოლოშვილი და ნინო სამნიაშვილი.

6.6 კონტროლის განმახორციებელი პირების ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მოცულობის, ერთეულის ფასის და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

6.7. „საქონლის“ მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“. შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას დაგვიანებით მიღებულ ან უხარისხო საქონელზე, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან.

6.8. საქონლის მიწოდების შემდეგ მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი და მიღება–ჩაბარების აქტი, რომელიც ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

7. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ერთინად, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამის თანხაზე, მიწოდებასთან დაკავშირებული დოკუმენტის (ინსპექტირების დასკვნა და სასაქონლო ზედნადები) გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

7.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორება.

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8. პირგასამტეხლო

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა.

8.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში (მათ შორის 9.2.1 პუნქტით განსაზღვრული ვადის), მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით ხელშეკრულების ღირებულების 0,02%–ს, ხოლო თუკი ადგილი ექნება ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლო შეადგენს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%–ს..

8.3. ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სრულად არაჯეროვანი შესრულებისთვის მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 20% ის ოდენობით.
8.4 ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ნაწილობრივ არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირბულების 10% ის ოდენობით.
8.5. 8.4 და/ან 8.3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევის დადგომისას, ასევე იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
8.6. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.
8.7. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ჯარიმის გადახდა მხარის მიერ მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.
8.8 ,,მიმწოდებელი,, ხელშეკრულების სხვა პირობების (გარდა იმ დარღვევებისა რაზე პასუხისმგებლობაც უკვე გათვალისწინებულია წინამდებარე მუხლით) დარღვევის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა თუ პირობის დარღვევა გამოწვეულია „მიმწოდებლისგან“ დამოუკიდებელი მიზეზით (როგორიცაა მწარმოებლის მიერ პროდუქტის წარმოების ან მიწოდების შეწყვეტა და სხვა), ყოველი დარღვევისას იხდის პირგასამტეხლოს სახელშეკრულებო თანხის 1%-ს.
8.9. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
9.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.
9.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
9.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ „საქონელი“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.
9.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.
9.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
9.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.
9.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.
9.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.
9.3.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება;
9.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
9.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების სრული ანაზღაურება.
9.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „საქონლის“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.
9.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.
9.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

10.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

10.3. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

10.4. ხელშეკრულების შეწყვეტა მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

10.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

10.5.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „საქონელი“:

10.5.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „საქონლის“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

10.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:

10.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;

10.7.2. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

10.7.3. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.

10.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.9. წინამდებარე მუხლის 10.5 და 10.7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება სრულად (თუ მიმწოდებელს დაკისრებული აქვს პირგასამტეხლო ან რაიმე ჯარიმა, ასეთ შემთხვევაში პირგასამტეხლოს გამოკლებით).

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1. ხელშეკრუ;ლების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.

11.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისგან.
11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
12.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავას გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. გამოსაყენებელი სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონის მიხედვით.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

15. ურთიერთობა მხარეებს შორის

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
15.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დადგება.

16. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
16.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.
16.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (398 მუხლი) განსაზღვრული შემთხვევებისა.
16.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.
17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
17.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

17.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

18. განსაკუთრებული შენიშვნები

18.1. ხელშეკრულება დგება სამ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

18.2. ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

18.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებაზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თარიღიდან.

მუხლი 19. დანართი №1

#	წამლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	ქვეყანა	NAM_PRODN	ჯენერიკის დასახელება
1	რეამბერინი 1.5% 400მლ საინფ.ხს	60	20,26	**1215,6**	რუსეთი	პოლისანი სანკტ-პეტერბურგი	Meglumini natrii succinas
2	მიდოკალმი 50მგ #30ტ	1,67	6,92	**11,56**	უნგრეთი	გედეონ რიხტერი	Tolperisonum
3	ჰეპატო-რიცი #50ტ	66	23,87	**1575,42**	საქართველო	ჯი.ემ.პი	Silybum marian.Chelidonium,Curcuma longa
	სულ:			**2802,58**	ლარი		

20. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

შ.პ.ს.“ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

რეკვიზიტები:
ს/კ 404945164;
„თიბისი ბანკი“ ც/ფ, ბ/კ TBCBGE22;
ა/ა GE75TB7810436020100002;

მის: თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2

„მიმწოდებელი“

შპს „ავერსი-ფარმა“

რეკვიზიტები:
ს/კ 211386695;
ბანკი ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE06BG0000000122932100
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის 148/2
საკ/ინფორმაცია 2 91 02 33
ელ-ფოსტა: kutuzovi@aversi.ge

გენერალური დირექტორი:
ლაშა კილაძე
_____

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2019.07.15 10:46:51 +04'00'

კომერციული დირექტორი:
ეკატერინე მიქელაძე
_____

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი ლაშა კილაძე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაზე (№202; 07,2019წ.) ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესეთა კონფლიქტს.

ასევე ამავე მუხლის შესაბამისად, ი.ყარაულაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი) თ. გოლოშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ნარკოლოგიური ავტორიზებული აფთიაქის მენეჯერი) ნ. სამნიაშვილი (შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ფსიქიატრიული ავტორიზებული აფთიაქის მენეჯერი) ხელმოწერით ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების (№202; 07,2019წ.) მიმწოდებელთან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები) შპს „ავერსი-ფარმას“-თან.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის გენერალური დირექტორი: ---------- /ლ. კილაძე/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების

უფროსი: ---------- /ი. ყარაულაშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის ნარკოლოგიური ავტორიზებული აფთიაქის მენეჯერი:

_____ /თ. გოლოშვილი/

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ცენტრის ფსიქიატრიული ავტორიზებული აფთიაქის მენეჯერი:

_____ /ნ. სამნიაშვილი/

07,2019წ.

LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction

Digitally signed by LTD Center for Mental Health and Prevention of Addiction
Date: 2019.07.15 10:47:13 +04'00'